




დამტკიცებულია

რექტორის ბრძანება №01-20 03.05.2023

რექტორი  კ. ხვედელიძე



ნარჩენების უტილიზაციის წესი

ნდ №2-040101-13

ბათუმი
2023

ნდ №2-040101-13	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-20, 03.05.2023	1-5
-----------------	-----------	--	-----

წინასიტყვაობა:

1. დამუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.
2. დამტკიცებულია ბნსუ-ს რექტორის მიერ.
3. ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.
4. დოკუმენტის პერიოდული შემოწმება ხდება არაუგვიანეს 12 თვისა.
5. ცვლილებები მუშავდება სასწავლო უნივერსიტეტში დოკუმენტის გამოყენების შედეგების ან იმ ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა ცვლილებების გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც დამუშავდა ეს ინსტრუქცია.

1. გავრცელების სფერო

- 1.1. წინამდებარე წესი ვრცელდება შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში წარმოქმნილ ისეთ ნარჩენებზე, რომლებიც საჭიროებენ სპეციალიზებულ კონტეინერში მოთავსებას და შესაბამისი სამსახურისთვის ჩაბარებას.
- 1.2. მოცემული წესების აღრიცხული ეგზემპლარები ინახება:
 1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან-კანცლერთან (ორიგინალი);
 2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში (ელ. ვერსია);
 3. სამეურნეო სამსახურში (ელ. ვერსია).

2. ნორმატიული დოკუმენტები და გამოყენებული ლიტერატურა.

წინამდებარე წესის დამუშავებისას გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტები და ლიტერატურა:

- 2.1. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9001:2015 “ხარისხის მენეჯმენტის სისტემები - მოთხოვნები”;
- 2.2. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9000:2015 «ხარისხის მენეჯმენტის სისტემები». ძირითადი დებულებები და ლექსიკონი.
- 2.3. საქართველოს კანონი ნარჩენების მართვის კოდექსი. ქუთაისი, 26 დეკემბერი 2014 წ. N2994-რს;
- 2.4. ნდ №2-020101-01 დოკუმენტების მართვის პროცედურა.

3. ტერმინები, განსაზღვრებები, შემოკლებები.

3.1. ტერმინები, განსაზღვრებები

1. **დოკუმენტი** - ინფორმაცია და შესაბამისი მატარებელი.
2. **აღრიცხული ეგზემპლარი** - დოკუმენტი, რომელსაც გააჩნია სააღრიცხვო ნომერი აღრიცხული ეგზემპლარების სიის მიხედვით.
3. **დოკუმენტის ორიგინალი** - დოკუმენტის ეგზემპლარი, რომელსაც გააჩნია უფლებამოსილი პირის ნამდვილი ხელმოწერა.
4. **საკონტროლო ეგზემპლარი** - მოქმედი დოკუმენტის ეგზემპლარი, რომელსაც გააჩნია სააღრიცხვო ნომერი და გრიფი “საკონტროლო ეგზემპლარი”.

3.2 შემოკლებები

- **ISO** - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
- **ბნსუ** - შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“.
- **ნდ** - ნორმატიული დოკუმენტი.
- **იდს**-ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

ნარჩენების უტილიზაციის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში „ბნსუ“) ნარჩენების უტილიზაციის წესს;
2. ამ წესით გათვალისწინებული დებულებების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ბნსუ-ს კანცლერი, სამეურნეო სამსახურის ხელმძღვანელი და თანამშრომლები, რომლებიც ხელმძღვანელობენ საქართველოს კანონმდებლობით, ბნსუ-ს აქტებითა და წინამდებარე წესით;
3. წესი შესაბამისობაშია საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან;
4. სტრუქტურული ერთეულები მოქმედებენ საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით და ბნსუ-ს წესდებით.

მუხლი 2. ბნსუ-ს საქმიანობაში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციის წესი

1. ბნსუ-ში მიმდინარე სასწავლო და პრაქტიკული მეცადინეობის პროცესში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი ნარჩენების უტილიზაციის წესების დაცვით ასეთის არსებობის შემთხვევაში. სხვა შემთხვევაში უტილიზაცია უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს და გარშემო მყოფ პირებს.
2. ნარჩენების შეგროვებაზე და უტილიზაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს. სასწავლო პროცესის დროს - პროფესიული განათლების მასწავლებელს/აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს;
3. განხორციელებული უტილიზაციის პროცედურის შესახებ ინფორმაცია უნდა აისახოს განაცხადში, რომელიც წარედგინება ბნსუ-ს კანცლერს.
4. ბნსუ-ში ნარჩენების ორგანიზებული შეგროვების, დროებითი შენახვის და ტრანსპორტირების სისტემა მოიცავს შემდეგ რგოლებს:
 - ა) ნარჩენების შეგროვება, ეტიკეტირება და ხარისხება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო სივრცეში (ბაზაზე);
 - ბ) ნარჩენების გადატანა სანაგვე კონტეინერებში;
 - გ) სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ კონტეინერებში, ხოლო არასახიფათო (უსაფრთხო) ნარჩენები შეიძლება განთავსდეს მუნიციპალური ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში.

მუხლი 3. ტექნოლოგიური/სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია

1. სასწავლო მიზნებისათვის ორგანიზებულ ტექნოლოგიურ პროცესში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი ნარჩენების უტილიზაციის წესების დაცვით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. სხვა შემთხვევაში უტილიზაცია უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს და გარშემო მყოფ პირებს;
2. ნარჩენების შეგროვებაზე და უტილიზაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შესაბამისი მოდულის/კომპონენტის განმახორციელებელს;
3. უტილიზაცია შეიძლება განხორციელდეს შესაბამისი პროფესიული სტუნდენტების მონაწილეობით, როგორც საგანმანათლებლო პროცესის ნაწილი, სათანდო წესებისა და უსაფრთხოების ნორმების ზუსტი დაცვით, რომელზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის/კომპონენტის განმახორციელებელს;
4. განხორციელებული უტილიზაციის პროცედურის შესახებ ინფორმაცია უნდა აისახოს ბნსუ-ს ადმინისტრაციისადმი წარდგენილ სამსახურეობრივ ბარათში/ანგარიშში;
5. ლაბორატორიული ნარჩენების, რომლებიც მიეკუთვნება სახიფათო ნარჩენების კატეგორიას, საყოფაცხოვრებო ნაგავში/მუნიციპალური ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში გადაყრა და საკანალიზაციო სისტემაში გადაღვრა აკრძალულია;
6. საყოფაცხოვრებო ნაგავში/მუნიციპალური ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში არ შეიძლება მოხვდეს ლაბორატორიული მყარი ნარჩენები, რომლებიც შეიცავენ:
 - ა) ადვილად აალებად მყარ ნივთიერებებს, როგორებიცაა ტუტე მეტალების ნაჭრები, მეტალური მაგნიუმი, წითელი ფოსფორი, გოგირდი, პარაფინი და სხვა;

- ბ) ძლიერ მჟანგავებს;
 - გ) ტუტე და ტუტემიწა მეტალთა ოქსიდებს;
 - დ) ტუტეებს;
 - ე) მძიმე მეტალებს;
 - ვ) დაღვრილი ვერცხლისწყლის შეგროვებისას გამოყენებულ მასალას;
 - ზ) დაღვრილი კონცენტრირებული მჟავების, ტუტეების, ან საწვავ და ადვილად აალებადი სითხეების შესაგროვებლად გამოყენებულ სორბენტებს და სხვა მასალებს (ფილტრის ქაღალდი, ტილოები);
 - თ) ბასრ და სახიფათო ნარჩენებს, თუ ისინი მოთავსებული არ არის სპეციალურ, დაცულ კონტეინერში გამაფრთხილებელი წარწერით.
7. საკანალიზაციო სისტემაში არ შეიძლება გადაიღვაროს ლაბორატორიული თხევადი ნივთიერებების წყალხსნარები, რომლებიც შეიცავენ:
- ა) მძიმე მეტალებს (როგორც კატიონების, ასევე ანიონების სახით);
 - ბ) ძლიერ ტუტეებსა და მჟავებს;
 - გ) ძლიერ მჟანგავებს;
 - დ) ორგანულ სითხეებს;
 - ე) ქლორორგანულ ნაერთებს.
8. ბნსუ-ს ტერიტორიიდან სპეციფიკური ნარჩენების გატანასა და განადგურებას ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი ორგანიზაცია, სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე, ასეთის საჭიროების შემთხვევაში.

მუხლი 4. კონტროლი და პასუხისმგებლობა

კონტროლი და პასუხისმგებლობა ამ წესის მითითებული პირობების შესრულებაზე ეკისრება ბნსუ-ს სამეურნეო სამსახურის ხელმძღვანელს, ხოლო პასუხისმგებლობა შესაძლო შედეგებზე ეკისრება სახიფათო ნარჩენების წარმოქმნაში მონაწილე პერსონალს.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესი ძალაში შედის ბნსუ-ს რექტორის მიერ დამტკიცებისთანავე;
2. წინამდებარე წესის ძალაში შესვლისთანავე უქმდება წინამდებარე წესის ძალაში შესვლამდე მოქმედი დებულებები/წესები, რომლებიც არეგულირებდნენ წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ საკითხებს;
3. ბნსუ-ს სტუდენტები/პროფესიული სტუდენტები, პროგრამის პერსონალი და სხვა პირები, რომლებიც მონაწილეობენ წინამდებარე წესით განსაზღვრული პროცესების ადმინისტრირებაში, ვალდებული არიან გაეცნონ წინამდებარე წესსა და შეასრულონ მისი მოთხოვნები, ადმინისტრაცია ვალდებულია ნებისმიერ დროს მისცეს მათ წესის გაცნობის შესაძლებლობა;
4. წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის ინიციატორი შეიძლება იყოს ბნსუ-ს რექტორი, ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი, ბნსუ-ს სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები;
5. წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ბნსუ-ს რექტორის გადაწყვეტილებით;
6. წინამდებარე წესის მუხლებს წინამდებარეული აქვს სათაურები ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად, ეს სათაურები არ მიიჩნევა რომელიმე მუხლის განმსაზღვრელად, შემცვლელად ან განმმარტებლად;
7. წინამდებარე წესის რომელიმე მუხლის/დებულების ძალადაკარგულად/ბათილად ცნობა არ ვრცელდება დებულების სხვა მუხლებზე/დებულებებზე;
8. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით;
9. წინამდებარე წესი ძალას კარგავს ახალი წესის დამტკიცების შემთხვევაში.



ცვლილებების №	ცვლილებების თარიღი	ცვლილებების შინაარსი